სტუ–ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტს გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობა სტუმრობდა

6 ნოემბერს, სტუ–ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი – ქალბატონი თამარ ბაგრატია, გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი – ბატონი მერაბ გაფრინდაშვილი და გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – ბატონი მერაბ ჩალათაშვილი. სააგენტო არის ძირითადი სახელმწიფო სტრუქტურა დღეს ქვეყანაში, რომელიც გეოლოგიის დარგში ახორციელებს საქმიანობას და ასაქმებს ჩვენს კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის დასაწყისში, სტუმრებმა და სამთო–გეოლოგიური ფაკულტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სწავლების თანამედროვე პროგრამების, სტუდენტთა სტაჟირებისა და შესაძლებ-ლობის ფარგლებში კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.

სტუმრებმა მოინახულეს სამთო–გეოლოგიურ ფაკულტეტზე არსებული შახტა–ლაბორატორია; შემდეგ გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის მუზეუმი, სადაც განთავსებულია ხერხემლიანების განამარხებული ნაშთები, დინოზავრების მულაჟები და გამოფენილია მასალა დედამიწის

ქერქის აგებულების შესახებ. ასევე, დაათვალიერეს მინერალოგიის, პეტროლოგიის და გეოქიმიის მუზეუმი, სადაც 5000–მდე ნიმუში ვიტრინებშია გამოფენილი, 12000-მდე ექსპონატი კი საცავებში ინახება.

სააგენტოს წარმომადგენლები გეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სწავლების სტუდენტებს შეხვდნენ და სტუდენტურ პრაქტიკებთან, სტაჟირებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს უპასუხეს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობა გაეცნო ინფორმაციას „ახალგაზრდა გეოლოგთა და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი“–ს შექმნის, მისი მიზნების, საქმიანობის

მიმართულებების და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ცენტრი აპირებს ითანამშრომლოს გეოლოგიური პროფილის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან.

სააგენტოს ხელმძღვანელობა დაპირდა სტუდენტებს, რომ დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებლობის ფარგლებში შეასწავლიან გეოსაინფორმაციო სისტემების პროგრამებს. სააგენტოს უფროსმა ისინი „NEA–სფეროში“ დაპატიჟა, რომელიც სტუდენტებს ყოველ ხუთშაბათს, 18:00 სთ–ზე მასპინძლობს. სტუ–ს გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი აქტიურად მიიღონ მონაწილეობა როგორც საგენტოს მიერ დაგეგმილ საჯარო ლექციებში, ასევე „ახალგაზრდა გეოლოგთა და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი“–ს საქმიანობის ფარგლებში მოაწყონ საჯარო განხილვები, დისკუსიები და პრეზენტაციები აქტუალურ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით.